

ბესუ კლავი თბილისიდან გაზ. „სადაც კიდევ არის“

1989 წლის 9 აპრილის წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს დედაქალაქში უამრავმა უცხოელმა კორესპონდენტმა მოიყარა თავი. მაპრილს გაზეთი „სადაც კიდევ არის“ გრუს კლავი თბილისიდან ასეთი ინფორმაცია გადასცა.

ყოფილი სინდისის პატიმარი, ამჟამად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჯანაშია, იმედოვნებს, რომ ქუჩებში გამოვა 1 მილიონამდე ადამიანი. ქართველებს არ ავიწყდებათ დემონსტრაციის მხედური დარბევა, როცა სასანგრე ნიჩბებითა და მომწამლავი გაზებით მოკლული იქნა 22 ადამიანი დემონსტრანტი ბიძან.

ელპ-ს მომხრეები ორგანიზებას უკეთებენ ჩინაღმნივით მსვლელობას. აგრეთვე მთელი ღამის განმავლობაში ყვავილებით მოფინილ ადგილას, სადაც გასულ წელს დახუცეს ხალხი, დადგება საპატიო ყარაული. მოეწყობა პიკეტი ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლების სამხედრო შტაბთან. მიტინგსა და დემონსტრაციებზე ჩამოვლენ აგრეთვე აზერბაიჯანის ეროვნული მოძრაობის, ბალტიისპირა რესპუბლიკებისა და რუსეთის ლიბერალური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გასული წლის 9 აპრილის შემდგომ საქართველოს ადგილობრივი ხელმძღვანელების დამოხრები მოწმობენ კომუნისტური პარტიის სრულ მოწაღრ და ფიზიკურ განადგურებაზე. ადგილობრივმა კომუნისტებმა განსაკუთრებული პროტესტის გარეშე მისცეს ელპ-ს უფლება, დაეკავებინა კომკავშირის ქალაქკომისიის შენობა. იზრდება რადიკალურად განწყობილი აქტივისტების ზემოქმედება, რომლებიც დამოუკიდებლობას მოითხოვენ. აქტივისტების მხრიდან ზოგჯერ მუქარით ხელისუფლება იბუღებული იყო გადაეღო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

შეიქმნა ეროვნული ფორუმი რამდენიმე დამოუკიდებელი ორგანიზაციის შემადგენლობით და აპირებს ჩაატაროს თავისი არჩევნები ეროვნულ ასამბლეაში. ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მაგალითზე საქართველო ამატკიცებს, რომ ის იყო ანექსირებული საბჭოთა რუსეთის მიერ. ელპ-მ, სასომხეთის და აზერბაიჯანის ნაციონალისტებთან ერთად ლიტვის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება.

ჯანაშიას აზრით, ლიტვილებმა დაუშვეს ორი სერიოზული შეცდომა. ერთი, რომ ისინი მოქმედებდნენ საბჭოთა ორგანიზაციის საშუალებით, მეორე, რომ მათ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა ისე, რომ დამოუკიდებლობის პირობებში არ გააჩნდათ ფიზიკური არსებობის შესაძლებლობები. ჯანაშიას აზრით, პირველ რიგში საჭიროა განთავისუფლდეს დამპყრობელი ჯარისკაცნი ახე უფლებებს იგი წითელ არმიას.

ქართველი ნაციონალისტები ხმამაღლა მოუწოდებენ ახალგაზრდობას თავი აარიდონ საგაზაფხულო გაწვევას.

ნაციონალისტების ზეგავლენის გაძლიერება მიტად აწუხებს აყვავებულ საშუალო კლასს, რომელმაც ისწავლა საბჭოთა სისტემასთან შეგუება.

ჯანაშიას აზრით, ახალგაზრდა თაობა რადიკალური განწყობილებით მუხტავს თვით ისტაბილიტიზაციის წარმომადგენელ უფროს თაობას, რომლებიც, აქედან გამომდინარე, უკვე იცნებებენ, რომ დაიკავონ შედარებით მკვეთრი პოზიცია, საქართველოს კომუნისტურ პერილდამდელი, ტრადიციული, ნაციონალური ღირსებების მქონე საქართველოს დასაბრუნებლად.

ღანაშვილი კაცობრიობის წინაშე

მეორე მსოფლიო ომი ისტორიაში შევა როგორც უდიდესი დანაშაული კაცობრიობის წინაშე, დანაშაული, რომელიც ფაშისტებმა და ბოლშევიკებმა ჩაიდინეს. სტალინი-ჰიტლერის ბოღებმა ახალი, უკეთესი ცხოვრების აშენებისათვის, მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია უსირცხვილოდ აცხადებს, რომ მეორე მსოფლიო ომი "საერთაშორისო იმპერიალისტური რეპრესიის ძალებმა მოაზადეს და მთავარმა აგრესიულმა სახელმწიფოებმა-ფაშისტურმა გერმანიამ, ფაშისტურმა იტალიამ, მილიტარისტულმა იაპონიამ გააჩაღეს.

იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ სწორედ რიბენტროპი-მოლოტოვის პაქტმა, ანუ ფაშისტ-კომუნისტების ალიანსმა მისცა საშუალება ფაშისტურ გერმანიას წამოეწყობა ახალი მსოფლიო ომი მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის, რაშიც ბოლშევიზმი თავის წილს ითხოვდა და მიიღო კიდევ (ფინეთს გამოსტაცა ვიბორგის მხარე, ძალით შეიერთა ბალტიის ქვეყნები და მოღვაწეობდა, პოლონეთს წაართვა მისი აღმოსავლეთი ტერიტორიები.)

მეორე მსოფლიო ომი ორი კაცობრიობის ბრძოლის შემდეგ ერთერთის კრახით დამთავრდა. მას აქედ ბოლშევიზმი ყოველწლიურად დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავს ამ "ღირსშესანიშნავ"

თარიღს. მაგრამ ჩვენ, ქართველები, არ უნდა ვგვიმობდეთ ამ დღეს, რადგან ეს გაამარჯვებულ ჩვენთვის მიტად სავალალო აღმოჩნდა. სხვის ინტერესებს ეწირებოდა მუდამ ქართველი. ეს არის ჩვენი ბედი. თუკი მეორე მსოფლიო ომში 700 ათასი საქართველოს შვილი იბრძოდა სხვისი ინტერესებისათვის, რა ღმერთი გაგვიწყრა 1921 წელს, როდესაც მშვიდ-ტიბტვილი ბოლშევიკების 50 ათასიანი ზრბო შემოვიღოთ საქართველოში? ალბათ რისი ღირსნიც ვიყავით ის გვარჯუნა გამჩენმა. დღეს კი ჩვენი წინაპრების სისხლით განმტკიცებული იმპერია ჩვენსავე მოსპობას ღამობს. როდემდე შეიძლება სატანის სამსახურში ვიდგეთ, ვხედავდეთ და თავს ვიბრმავებდეთ, გვესმოდეს და თავს ვიყრუებდეთ?

ქართველი ერისათვის 9 მაისი გამარჯვებისა და ზეიმის დღედ კი არა, საყოველთაო გლოვის დღედ უნდა გამოცხადდეს, რამეთუ ასეთმა გამარჯვებამ ვერაფერი სიკეთე გვარჯუნა ქართველებს. ცუდი კი... ისიც კი არა ვიცი ათასზე მეტმა, რომ დასლო თავი სხვის საერთაგულად.

ზვიად ქავარია

მრავალი წლის მანძილზე, საბჭოთა ოფიციალური საინფორმაციო საშუალებები ქვეყნის მოქალაქეებს არწმუნებდნენ, რომ სსრკ საფინანსო მდგომარეობა საუკეთესოა. მაგრამ, აი, გასულ წელს "მოწმინდილი" ცაზე მიხი გავარდა, როდესაც სსრკ ჟინანსთა მინისტრმა სახელმწიფო ბიუჯეტში 35 მილიარდი მანეთის დეფიციტის არსებობის შესახებ განაცხადა. მართალია, ოფიციალურად დასახელებული 35 მილიარდი მანეთის დეფიციტი არც ისე კატასტროფულად გამოიყურება, მაგრამ იმავე საბჭოთა სპეციალისტების გაანგარიშებით, ფინანსური დეფიციტი ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკა ანგარიშობდა. გასულ წელს მას 100 მილიარდი მანეთისათვის მიუკაკუნებია, წელს კი მათივე ანალიზის საფუძველზე კვი გვარიანად გადააჭარბეს ზემოთ აღნიშნულ თანხას.

ეკონომიკაში ჩაუხედავი ადამიანისთვის ამ უზარმაზარ ციფრებს შეიძლება არსებითი მნიშვნელობა არც კი ჰქონდეს, მაგრამ საბჭოთა სისტემის მთელი უბედურება იმაშია, რომ ისინი კარგად ხვდებიან, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკაში ასეთ დეფიციტს.

ცდილობენ რა, ხალხს აუხსნან, თუ რა ხდება, კომუნისტური პროპაგანდა იწყებს ძველი, გამოცდილი მეთოდების გამოყენებას. მიმდინარეობს მასების დარწმუნება იმაში, რომ არსებულ სიტუაციაში თვითონ ისინი არიან დამნაშავენი, რადგანაც ისინი თურმე იმაზე მეტს იღებენ ხელფასის სახით, ვიდრე გამოიმუშავებენ და, აქედან გამომდინარე, ხელფასი უფრო სწრაფად მატულობს, ვიდრე მათი შრომის ნაყოფიერება. ეს კი საბოლოო ჯამში იწვევს, სწორედ, დეფიციტს ბიუჯეტში.

მაგრამ ასეთი მტკიცებების დღეს ბევრს აღარავის სჯერა. მართალია, ხელფასი მინიმალური რაოდენობით იზრდება, მაგრამ იმავედროულად მაქსიმალური რაოდენობით იზრდება ფასები. ფასების ზრდა კი მრავალი მიზეზითაა გამოწვეული და უმთავრესი მათ შორის არის ასეულობით მილიარდი მანეთის ხარჯები სამხედრო შეიარაღებაზე. ამას თან ერთვის ბიუროკრატიული აპარატის შენახვისათვის ყველასათვის გასაიდუმლოებული ხარჯები. მაგრამ ერთი რამ კი ცნობილია, რომ საბჭოთა სისტემაში გაცილებით მეტი სახსრები იხარჯება კორუმპირებული აპარატის შესანახად, ვიდრე მეფის რუსეთი ხარჯავდა 40 ათასი გრაფისა და თავად-აზნაურის შესანახად.

ამავდროულად ცენტრში შეუჩერებელი მუშაობს ფულის საბეჭდი მანქანა, რის შედეგადაც ქვეყანას ნიაღვარივით ეღება ქალაქის გაუფასურებული ბანკნოტები. საბჭოთა ხელისუფლების ცდა, როგორმე შეაჩეროს დაწყებული პროცესი, მარცხით მთავრდება, მანქანა ისეთი სისწრაფითაა ამუშავებული რომ მისი გაჩერება შეუძლებელი ხდება. ამასობაში კი, ქალაქის ნიაღვარი წყალდილობაში აპირებს გადაზრდას და წაღვეცი იმ ემუქრება კომუნისტურ იმპერიას.

სამეგრეოს ბიუროს თავმჯდომარე დავით კვარაცხელია შეყვანილია ე.დ.პ. - ს მთავარ კონსტრუქტორი



გაიისი - წმინდისა დიდაგულისა, დიდისა მოწამისა,

კლავაშვილისა და საკვირველი მოძიებისა გიორგისა!

ივერთა ღმერთისა ჩვენივეს წმინდა დიდმოწამი გიორგი,

რამეთუ გულმოდგინად შენდამი მოვიტყვი, ვინაჲსა

მსურავს შემოვიხსნა და მიუხსნა სულსა ჩვენივეს.

ქუ უწყავს საძარმველნი მტკობრე მარტოდადიდაგულებს ამ დიდ ძრისტინულ დღესასწაულს.

წერილი კოლეჯიდან.

ამ რამდენიმე დღის წინ საძარმველნი ირწმუნა-ღმერთობის პატივის პრის-ცენტრში ძ.რუსთავეის №29 შრომა-გასაღების კოლონიდან მივიღეთ პატივი. რთა წერილი. გმავაზრდამ ამ "საპროტესტო მიმართვის" ტიტულს.

უკანასკნელ ხანებში საქართველოში გაძლიერდა და შეუქცევადი ხასიათი მიიღო ერთგულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. იმსხვერვა და სამუდამოდ კარგავს ძალას დრომოჭმული დოგმები და სტერეოტიპები, სოციალურ-პოლიტიკური ძვრები მტრნაკლებად ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. ეს ჯერ კიდევ გუშინ უძვეველი და შეუწყველი ძალა ტოტალიტარიზმისა, თავზე ენგრევა იმის აპოლოგეტებს. და ძოლოდ ე.წ. "სოციალისტური სამართალდაცვის ინსტიტუტი" ქაჯეთის ციხესავით არ ეპუება არცერთ ქარიშხალს, მისი მექანიზმის დამუშავები კბილანები კი საზარელი ღრვიანად ძველებურად უღმრთელი სისასტიკით ამუშავებენ ადამიანთა ბედს. როდემდის?!

დღეს ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან გამუდმებით გვიჩივიან, რომ ძოლოდ ახლა ეყრება იმპერიის სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველი და მარტივი ლოგიკიდან გამომდინარე აქსიომა ისიც, რომ ჩვენ არა მარტო გუშინ, არამედ დღესაც ვვარსებობთ უსამართლებო სახელმწიფოში და თუ იმასაც დავეჭვებთ რომ მართლმსაჯულების არსებული პირამიდა ძირიდან მწვერვალამდე კოორდინის მტკასტაბეზით არის დადარული, რაც არავისათვის, (ვიყოთ გულმარტალი), არ წარმოადგენს საილუმოს, მეტადრე კირვეთვის, ვისაც უშუალოდ შეგვებო თემიდას "უანგარო" ხელი, მაშინ არავის არ გაუკვირდეს ეს ჩვენი სასოწარკვეთილებით ნაკანახევი აქცია.

ადვილია გიყვარდეს საერთოდ კაცობრიობა და ძნელია შეიყვარო კონკრეტული ადამიანი, მარტოულია გრძნობდე თავს შენი ერის განთავისუფლებისათვის მებრ-

ძოლად, მაგრამ მიმიმა და დამქანცველია შენი ყველაზე დიდად და უფლებო თვისებობა განთავისუფლებისათვის ბრძოლა, ვინაიდან დავითის ძაღ და შეუპოვრობა უნდა შეიქცევდეს, რათა შეიქცეოდეს უსამართლობის გოლიათს.

განა შეიძლება, ერი თავისუფლებისათვის იბრძოდეს და პირველ რიგში არ მიხედოს თავის იმ შეილებს, ვისთვისაც მონობა და დამცირება ყოველდღიურ ყოფად არის ქვეული, თავისუფლება კი, მისთვის მიუწვდომელ ოცნებად რჩება?

განა შეიძლება ერი გამრავლებზე ზრუნავდეს, ათასობით ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა თუ შუახნის მამაკაცები კი უშთამომავლოდ ჰყავდეს განწირულნი?

განა შეიძლება ერი მონავალი თაობის პატრონად აღზრდაზე ფიქრობდეს, ათიათასობით ბავშვი კი მამის ზრუნვას და აღერს მოკლებულნი, გაბოროტებულნი ექვს თვეში, ან წელიწადში ერთხელ ციხის კარს ატუზულნი ჰყავდეს?

დაუთვლია ვინმეს რამდენი ქართული ოჯახი დანგრეულია ჩვენი მაქსიმალიზმის სენით შეპყრობილი "პატრიოტი და მოუსყიდავი" მოსამართლეების მოღვაწეობით. რომლებიც გულუხვად არიგებენ 12 და 15 წლით პატიმრობას, მაშინაც კი, როდესაც მათ წინაშე პირველად გზასაცდენილი თანამემამულე ხის, კანონი კი დასჯის მინიმალურ ვადად 3 ან 5 წელიწადს გულსხმობს?

ცინიზმისა და თვალმამკობის აპოთეოზად იქცა საკავშირო პროკურატურის მიერ აღძრული საქმი გამოძიებების გლიანისა და ივანოვის მიმართ, რომლებიც, (თურმე!) აკრძალული მეთოდების გამოყენებით იძიებდნენ საქმეებს. მაფ რისხვას ატებს თავს თვით ობერ-პროკურორი სუხარევი, რომლის ქვეშევრდომნი მთელს უკიდევგანოიმპერიისში ძოლოდ ამ მეთოდებით მოქმედებენ, ვინაიდან ეს მათი მუშაობის დაკანონებული სტილია "რკინის ფელიქსის" დროიდან მოყოლებული.

და თუ ისევ ქართულ მაქსიმალიზმს გავიხსენებთ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამწვერვალზე მიაღწიეს ამ სახეიშო საქმეებში ჩვენმა "მათელიშვილებმა".

თქვენ გინახავთ სკამის ფეხით ნაბეგვი ლურჯი ფერის ფეხისგულები? ჩამტვრეული ნიკნებით ფიცარნაგზე დაგდებული ურჩი ეჭვიტანილი?

თქვენი გული გაუძლებდა თვრამეტი წლის თირკმელებჩაღწევილი ვაბუკის. არაადამიანურ ღრიალს, როდესაც სისხლით გაღის შარბზე?

წარმოადგინეთ ის ცინიკური მუქარა, როდესაც თავმოყვარე ქართველი ვაჟკაცი თუ ხელს არ მოაწერს ნებისმიერ ბრალდებას, მას მამათმავალთა საკანში ჩასვამენ და ამ დროს მან კარგად იცის რამდენად რეალურია ეს მუქარა.

ბევრი ჩვენთაგანი სწორედ ასე მიგვიყვანეს მართლმსაჯულების სამსხვერპლოზე, ჩვენი ჩივილები, ხვეწნა და მუღარა კი, მიმართული ზაზუნაზედველო ორგანოებისსაკენ, წლების მანძილზე რჩება "ხმაღ მლაღადებლისა უღაბნოსა შინა."

ღმერთმა დაგვიფაროს მათ დაუმსახურებლად ბრალი დავლოთ იმაში, რომ უპასუხოდ გვტოვებენ. რა თქმა უნდა, არა, მათ ჩინებულად აქვთ გამართული პასუხის გამცემი კონვეიერი. ესაა ძოლოდ რომ ყველა პასუხი ტყუილსავალივით ჰგავს ერთმანეთს - "გასამართლებული ხართ სწორად, თქვენი საქმის გადასინჯვის არავითარი იურიდიული საფუძველი არ არსებობს."

როდემდე?

ბევრი ჩვენთაგანი ჯერ კიდევ ე. წ. "უძრაობის ხანაში" ვართ დაპატიმრებლნი და გასამართლებულნი, მაშინ, როდესაც ჩვენს სამართალდაცვით ორგანოებში განუყოფლად ბატონობდა, დღეს უკვე საქვეყნოდ აღიარებული და ყბადაღებული დამამძიმებელი გადახრის, ანუ "ოპინიონი უკლონი" პრინციპი, ეს მათრახი, რა თქმა უნდა, გადმოგვწვდა იბათაც, ვინც "გარდაქმნის ეპოქის" ნადავლს წარმოვადგენთ, ვინაიდან ჩვენი მართლმსაჯულება დღესაც "უძრაობის ხანის" ლიტარგიაში განისვენებს.

ქ.რუსთავეის შრომა-გასაღების კოლონია უი 123 29-ში, სადაც ჩვენ ვიხლით სასჯელს, იმყოფება ათასამდე მსჯავრდებული, ამ მიმართვას კი ხელს ვაწერთ 120 პატიმარი. ჩვენთვის გადაწურულია სამართლის პოენის იმედი, მისულები ვართ სულიერი და ფიზიკური ტანჯვის იმ ზღვართან, რომლის იქითაც ყველაფერი, ჩვენი სი ცოცხლეც კი აზრს ჰკარგავს.

ამიტომ, ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე:

1-ვინაიდან ზოგიერთმა ჩვენთაგანმა, სრულიად უსამართლოდ გასამართლებულმა და უკანონოდ დასჯილებმა, ვერავითარი კანონიერი გზით ვერ მივაღწიეთ ჩვენი სიმართლის დამტკიცებას;

2-ვინაიდან ბევრ ჩვენთაგანს, ვისაც სიყაღისა და ფალსიფიკაციის გამოყენებით, გამოძიებამ დაუმტკიცა დანაშაული, თავიდან უადეოკატოლ, სასამართლო კი, საბრალდებო დასკვნაზე ბრმა დაყრდნობით, გამოუტანა ჩადენილ დანაშაულთან შეუფერებელი მკაცრი სასჯელი, ამოგვიწურა ყოველგვარი იმედი დანაშაულის კვალივიკაციის შეცვლისა;

3-ვინაიდან სახელამხედველო ორგანოები ემსახურებიან არა კანონს, არამედ საკუთარი უწყების ინტერესებს და ვამყარებთ რა უკანასკნელ იმდეს რესპუბლიკის ფართო საზოგადოების თანადგომაზე, ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვაცხადებთ მტკიცე პროტესტს და კატეგორიულად მოვითხოვთ:

1-შეიქმნას სპეციალური სამთავრობო კომისია კვალივიციონებული, აღმინისტრაციული ორგანოებისაგან დამოუკიდებელი. იურიტებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც შეინვაგლის ჩვენს საქმეებს და აღადგენს სამართლიანობას, რომლისათვისაც მრავალი წელია ვიბრძვით.

2-მოვითხოვთ შეხვედრას ამ სამთავრობო კომისიის წევრებთან, რათა დაგვწმუნდეთ, რომ ეს არის ჭეშმარიტად უფლებამოსილი ობიექტური სამსჯავრო. პირადად მოვახსენებთ მათ ჩვენს გულსტიკვირს.

3-მოვითხოვთ ჩვენი მიმართვის ტექსტი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით გავცნოს საზოგადოებას.

თუ ამა წლის 18 იანვარამდე არ იქნება შესრულებული ჩვენი მოთხოვნები, იძულებული ვიქნებით მივმართოთ პროტესტის უკიდურეს ფორმას-მასიურ შიმშილობას, რომელსაც პერმანენტულად გავაგრძელებთ მანამ, სანამ ჩვენი ზემოჩამოთვლილი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული.

გაზეთი მოსახალა რეპრობიამ
ტელ: 98-31-86 რუსთაველის ბაზარი №29
98-31-87
98-31-88